ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 52-ბ/14

10 სექტემბერი 2014 წ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემის კომპანიის“ მიერ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 ივლისის N1228 განკარგულების „შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის“ მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ სახსრებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვის განხორციელების მიზნით:

ერთის მხრივ შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანია“, წარმოდგენილი მისის დირექტორის ვაჟა კირტავას სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ შპს „ბიზნეს ჯგუფი 2010“ წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის სიმონ მეფარიძის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგი საქონლის მიწოდებაზე: <u>4 (ოთხი) ერთეული მუხლუხოებიანი (ჭაობის) ექსკავატორის ЭО-3223 (2014 წ გამოშვება), მუხლუხოებინი ექსკავატორებისათვის (ჭაობის) ისრის მკლავი 2 (ორი) ერთეულის და არხის საწმენდი ციცხვის 2 (ორი) ერთეულის მოწოდება</u> (CPV ***<u>43200000</u>***).

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი “ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანი არის <u>4 (ოთხი) ერთეული მუხლუხოებიანი (ჭაობის) ექსკავატორის ЭО-3223 (2014 წ გამოშვება), მუხლუხოებინი ექსკავატორებისათვის (ჭაობის) ისრის მკლავი 2 (ორი) ერთეულის და არხის საწმენდი ციცხვის 2 (ორი) ერთეულის მოწოდება</u> (CPV ***<u>43200000</u>***).

2.2 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მახასიათებლები, ისევე როგორც საგარანტიო ვადები და პირობები თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას დანართების N1 და N2 სახით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება **505,664 (ხუთას ხუთი ათას ექვსას სამოცდაოთხი)** აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში გადარიცხვის დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ფასების ცხრილში (დანართი N1) განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადების შესაბამისად - ხელშეკრულების გაფორმდებიდან **70** კალენდარული დღის განმავლობაში;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

5.2 შემსყიდველის მხრიდან უფლებამოსილი პირი: ვაჟა ფშავლიშვილი, ახალი ტექნოლოგიების, საწარმოო ბაზებისა და მექანიზაციის დეპარტამენტის უფროსი.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება განსახორციელდება 50% წინასწარი ანგარიშსწორებით, საბანკო დაწესებულებიდან წარმოდგენილი დოკუმენტის (საბანკო გარანტიის) საფუძველზე. აღნიშნული გარანტია უნდა წარმოდგენილ იქნეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში და მისი მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას არანაკლებ 30 კალენდარული დღით.

6.3 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ „6.2" პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარდგენიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში, მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.

6.4 საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

6.5. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ხელშეკრულების დანართით №1 გათვალისწინებულ ვადაში ვერ უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას და მხარეები ვერ შეთანხმდებიან ამ ვადის

გაგრძელებაზე შემსყიდველი უფლებამოსილია გარანტიის მოქმედების პერიოდში მიმართოს გარანტიის გამცემ ორგანოს (გარანტს) საავანსო საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის დაბრუნებაზე.

6.6 იმ შემხვევაში, თუ მიმწოდებელი ხელშეკრულების დანართით №1 გათვალისწინებულ ვადაში ობიექტური მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოს სამუშაოს შესრულებას და მხარეები შეთანხმდებიან ამ ვადის გაგრძელებაზე მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს წარმოადგინოს გაგრძელებული ვადის ან/და ახალი წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 (ოცდაათი) დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოს შესრულების ვადას.

7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

7.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-9 მუხლის შესაბამისად.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ეკისრება პირგასამტეხლო მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0,07%-ის ოდენობით.

8.2 წინამდებარე ხელშეკრულების 6.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,07%-ის ოდენობით.

8.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია

წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

10.2. ხელშეკრულების 10.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ახალი ტექნოლოგიების, საწარმოო ბაზებისა და მექანიზაციის დეპარტამენტის უფროსი ვაჟა ფშავლიშვილი.

11. დავების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფა

13.1. იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული რისკი, წარმოქმნილი "მიმწოდებლის" მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, „მიმწოდებლი" ვალდებულია წარმოადგინოს საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 5% 25,284 აშშ დოლარის (ან ეკვივალენტური თანხის ლარებში) ოდენობით, რომელის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას **(2014 წლის 31 დეკემბერი).**

13.2. იმ შემხვევაში, თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ობიექტური მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოს სამუშაოს შესრულებას და მხარეები შეთანხმდებიან ამ ვადის გაგრძელებაზე მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს წარმოადგინოს გაგრძელებული ვადის ან/და ახალი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 (ოცდაათი) დღით უნდა აღემატებოდეს გაგრძელებულ ვადას.

13.3. საბანკო გარანტია მიმწოდებელს დაუბრუნდება შემდეგ შემთხვევებში:

13.3.1.მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისას.

14. ფორს-მაჟორი

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში ხელმოწერისთანავე და **მოქმედებს 2014 წლის 31 ნოემბრის ჩათვლით;**

15.2 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი - შემსყიდველს.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

შ.პ.ს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანია"
საიდენტიფიკაციო კოდი: 204524568
მისამართი ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. N6
ს/ს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE58BG0000000182323100

მიმწოდებელი:

შ.პ.ს „ბიზნეს ჯგუფი 2010"
საიდენტიფიკაციო კოდი: 208141321
მისამართი: საქართველო, თბილისი, ა. ქართველიშვილის ქ. N7
სს „ბანკი რესპუბლიკა"
ბანკის კოდი: REPLGE22
ა/ა: GE25BR0000010012640572

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC
ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი

358629/09/14
10.09.2014

ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია

შპს "საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანია"-ს

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ შპს "ბიზნეს ჯგუფი 2010"-მა (ს/კ 208141321) შემდგომში "პრინციპალმა", 4 (ოთხი) ერთეული ჭაობის მუხლუხოებიანი ექსკავატორის, აღნიშნული ექსკავატორისათვის ორი ერთეული ისრის მკლავისა და ორი ერთეული არხის საწმენდი ციცხვის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2014 წლის 10 სექტემბერს გაფორმებული №52-ბ/14 ხელშეკრულების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ პრინციპალის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ჩვენ სს ბანკი "რესპუბლიკა", ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი (ს/კ 204856263, შემდგომში "გარანტი") ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე 25,284 (ოცდახუთი ათას ორას ოთხმოცდაოთხი) აშშ დოლარის ოდენობით (ექვივალენტი თანხა ლარში, გადახდის დღეს დაფიქსირებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად) და ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას, პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობის დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების საბოლოოდ დამთავრებამდე, არაუგვიანეს 2014 წლის 31 დეკემბრისა (ჩათვლით). შესაბამისად, აღნიშნული გარანტიიდან გამომდინარე, მოთხოვნა გარანტის მიერ მიღებულ უნდა იყოს საბანკო გარანტიის ვადის გასვლამდე მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, გრ. აბაშიძის ქ. №2.

ჩვენი ვალდებულება თქვენს წინაშე შეწყდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) თქვენთვის იმ თანხის სრულად გადახდით, რომელზედაც გაიცა გარანტია; მოთხოვნის არასრულად დაკმაყოფილება არ შეწყვეტს საბანკო გარანტიას;

ბ) საბანკო გარანტიის ვადის გასვლით;

გ) თქვენს მიერ გარანტიიდან გამომდინარე თქვენს უფლებებზე წერილობითი უარის თქმისა და/ან ამ გარანტიის ორიგინალის დაბრუნებისას.

წინამდებარე გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

რამაზ კუკულაძე	ლევან პიტიურიშვილი
გენერალური დირექტორის მოადგილე	საკრედიტო ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი

საქართველო ბანკი რესპუბლიკა BANK REPUBLIC 204856263 JOINT-STOCK COMPANY

ს.ს. ბანკი „რესპუბლიკა"
გრ. აბაშიძის ქ. 2
თბილისი 0179
ტელ.: (995 32) 290 90 90
ფაქსი: (995 32) 292 55 44
E-mail: info@republic.ge

ბიზნეს ჯგუფი 2010
BUSINESS GROUP 2010

№185/1

03.09.2014

დანართი №1

მუხლუხოებიანი ექსკავატორი (ჭაობის) – 4 ერთეული						
N	ტექნიკური სპეციფიკაციები	შემსყიდველის ტექნიკური მოთხოვნები	შემოთავაზებული ტექნიკური მაჩვენებლები	ერთეულის ფასი*	მიწოდების ვადა**	მიწოდების ადგილი
1	მოდელის სრული დასახელება		ЭО-3223	124 041 (ასოცდაოთხი ათას ორმოცდა ერთი) აშშ დოლარი	70 კალენდარული დღე ხელშეკრულების გაფორმებიდან	აბაშა (2 ერთეული) ქობულეთი (1 ერთეული) ზუგდიდი (1 ერთეული)
2	მწარმოებელი ქვეყანა		რესპუბლიკა ბელარუსი			
3.	გამოშვების წელი	2014 წ	2014 წ.			
4	ძრავის ემისია	არაუმეტეს ევრო 3, სასურველია ევრო 2	ევრო 2			
5	საექსპლუატაციო წონა	15-17 ტ	16 ტ			
6	სიმძლავრე	100-110 ც/ძ	101 ც/ძ			
7	ციცხვის გეომეტრიული მოცულობა	არანაკლებ 0.6 მ³	0,63 მ³			
8	ძირითადი ისრის სიგრძე	არანაკლებ 4.5 მ	4,5 მ			
9	ისრის მკლავი	2.4 მ	2,4 მ			
10	ჩაწვდომის სიღრმე	არანაკლებ 5 მ	5,5 მ			
11	თხრის რადიუსი	არანაკლებ 8 მ	8,4 მ			
12	შალგების სიგანე	900 მმ	900 მმ			
13	კლირენსი	არანაკლებ 500 მმ	520 მმ			
14	მობრუნებადი პლატფორმის ბრუნვის სიხშირე	არანაკლებ 6 ბრ/წთ	6,5 ბრ/წთ			
ჯამი (4 ერთეული)		**496 164 (ოთხას ოთხმოცდათექვსმეტი ათას ას სამოცდაოთხი) აშშ დოლარი**				

საქართველო, თბილისი 0109, ა. ყარიოველიშვილის ქ. 7; ტელ/ფაქსი: 2919228, 2919229, ელ-ფოსტა: info@business-group.ge
7, A. Kartvelishvili str., Tbilisi 0109, Georgia; Tel/fax: (+99532) 2919228, 2919229; E-mail: info@business-group.ge
www.business-group.ge

ბიზნეს ჯგუფი 2010
BUSINESS GROUP 2010

N	ტექნიკური სპეციფიკაციები	შემსყიდველის ტექნიკური მოთხოვნები	შემოთავაზებული ტექნიკური მაჩვენებლები	ერთეულის ფასი*	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი
მუხლუხოებიანი ექსკავატორისათვის (ჭაობის) დამატებითი მოწყობილობები						
ისრის მკლავი - 2 ერთეული						
1	მოდელის სრული დასახელება		ЭО-3223.03.04.000	3300 (სამი ათას სამასი) აშშ დოლარი	70 კალენდარული დღე ხელშეკრულების გაფორმებიდან	აბაშა (1 ერთეული) ზუგდიდი (1 ერთეული)
2	მწარმოებელი ქვეყანა		რესპუბლიკა ბელარუსი			
3	გამოშვების წელი		2014 წ.			
4	სიგრძე	3.0 მ	3,0 მ			
არხის საწმენდი ციცხვი - 2 ერთეული						
1	მოდელის სრული დასახელება		ЭО-3223.03.14.000	1450 (ათას ოთხას ორმოცდაათი) აშშ დოლარი	70 კალენდარული დღე ხელშეკრულების გაფორმებიდან	აბაშა (1 ერთეული) ზუგდიდი (1 ერთეული)
2	მწარმოებელი ქვეყანა		რესპუბლიკა ბელარუსი			
3	გამოშვების წელი		2014 წ.			
4	გეომეტრიული მოცულობა	არანაკლებ 0.6მ³	0,63 მ³			
5	სიგანე	არანაკლებ 1.6 მ	1,6 მ			
ჯამი - ისრის მკლავი (2) და ციცხვი (2)		9500 (ცხრა ათას ხუთასი) აშშ დოლარი				

შემსყიდველი:

შ.პ.ს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანია"
საიდენტიფიკაციო კოდი: 204524568
მისამართი ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. N6
ს/ს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE58BG0000000182323100

მიმწოდებელი:

შ.პ.ს „ბიზნეს ჯგუფი 2010"
საიდენტიფიკაციო კოდი: 208141321
მისამართი: საქართველო, თბილისი, ა. ქართველიშვილის ქ. N7
სს „ბანკი რესპუბლიკა"
ბანკის კოდი: REPLGE22
ა/ა: GEBR0000010012640572

დანართი N2
საგარანტიო პირობები

საგარანტიო მომსახურების წესები

1. ზოგადი დებულებები

შპს "ბიზნეს ჯგუფი 2010" იძლევა გარანტიას:

1.1. მის მიერ მოწოდებული ტექნიკა და აღჭურვილობა შეძენილი იქნება უფლებამოსილ მწარმოებელთან და უფლებრივად და ხარისხობრივად იქნება უნაკლო;

1.2. მის მიერ მოწოდებული ტექნიკა და აღჭურვილობა იქნება გამართული და ექსპლუატაციისას უსაფრთხო;

1.3. საგარანტიო ვადა განისაზღვრება საბოლოო მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 12 თვის ვადით;

1.4. მითითებული საგარანტიო ვადის განმავლობაში აღდგენილი იქნება ტექნიკისა და აღჭურვილობის ფუნქციონირება იმ პირობით, რომ

ა) ტექნიკისა და აღჭურვილობის გამოყენება მოხდება ოპერატორის სახელმძღვანელოში მითითებული რეკომენდაციების თანახმად;

ბ) დაცული იქნება ოპერატორის სახელმძღვანელოში მითითებული უსაფრთხოების ყველა ინსტრუქცია;

გ) რეგულარულად შემოწმდება ყველა დამცავი მოწყობილობა და საჭიროების შემთხვევაში მოხდება მათი გამოცვლა თანახმად ოპერატორის სახელმძღვანელო–ინსტრუქციისა და პერიოდული სავალდებულო მომსახურების წესების–რეგლამენტის, რომლებიც შემსყიდველს გადაეცემა ტექნიკასთან ერთად.

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. მიმწოდებელი თავისი ხარჯით ახდენს საგარანტიო პერიოდში აღმოჩენილი საქარხნო დეფექტის შეკეთებას ან/და დეფექტური დეტალის შეცვლას;

2.2. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არანაკლებ 12 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით გამოასწოროს ან შეცვალოს გამართული ექსპლუატაციის პერიოდში გამოვლენილი დაზიანება, რომელიც ექვემდებარება საგარანტიო შემთხვევას;

ბ) დროულად მოხდეს საგარანტიო რემონტის ჩატარება ტექნიკისა და აღჭურვილობის გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად .

2.3. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) დაიცვას ტექნიკისა და აღჭურვილობის ექსპლუატაციისას მწარმოებლის ნორმატივებით დაწესებული საექსპლუატაციო წესები და საექსპლუატაციო სახელმძღვანელოში მითითებული რეგლამენტი და ინსტრუქციები;

ბ) უზრუნველყოს პირობები, რათა საგარანტიო პერიოდში გარანტიას დაქვემდებარებული ტექნიკისა და აღჭურვილობის ნებისმიერი სახის ტექნიკური მომსახურება ჩატარდეს შპს "ბიზნეს ჯგუფი 2010" სერვის ცენტრში და/ან შპს "ბიზნეს ჯგუფი 2010" სპეციალისტების მიერ;

2.4. საჭიროების მიხედვით, საგარანტიო რემონტი შესაძლებელია ჩატარდეს ტექნიკის ან აღჭურვილობის დაზიანების ადგილზე, რომელიც ფასიანია (ფასი განისაზღვრება ტექნიკის მომსახურების დამატებითი ხელშეკრულებით);

2.5. მიმწოდებელი უფლებამოსილია ვადაზე ადრე შეწყვიტოს საგარანტიო მომსახურება ჩამოთვლილი შემთხვევებისას, რომლებიც ჩამოთვლილია 4. პუნქტში;

3. საგარანტიო შემთხვევის აღრიცხვისა და შესაბამისი მომსახურების შესრულების პირობები

3.1. საგარანტიო შეთხვევის დადგომისას შემსყიდველი ვალდებულია:

ა) არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა დადგენილი ფორმით აცნობოს მიმწოდებელს კონკრეტული მოდელის საგარანტიო შემთხვევის დადგომის შესახებ და გადაუგზავნოს მას რეკლამაციის ფორმა, რომელშიც მითითებული უნდა იყოს შემდეგი:

1) მფლობელის სახელი,გვარი და მისამართი;
2) მოწყობილობის ტიპი;
3) მოწყობილობის სერიული ნომერი;
4) შემსყიდველისათვის მიწოდების თარიღი;
5) ტექნიკის ან აღჭუვილობის მარკა და ტიპი;
6) დაზიანების თარიღი;
7) დაზიანების აღწერა და მისი გამომწვევი მიზეზი;
8) დაზიანებული ნაწილების რაოდენობა, საწყისი ნომერი და დასახელება;
9) შეცვლილი ნაწილების რაოდენობა, სასაქონლო ზედდებულის ნომერი და გაცემის თარიღი.

3.2. მიმწოდებელი ვალდებულია საგარანტიო შემთხვევის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის განმავლობაში მიავლინოს უფლებამოსილი და კომპეტენტური პირ(ებ)ი საგარანტიო შემთხვევის დადგენისა და გამოკვლევის მიზნით;

3.3. მომსახურება ხორციელდება მხოლოდ შპს "ბიზნეს ჯგუფი 2010" სპეციალისტების მიერ;

3.4. საგარანტიო რემონტის ვადა განისაზღვრება ტექნიკის გაუმართაობის ხარისხით;

3.5. უსაფუძვლო მიმართვის შემთხვევაში, შემსყიდველს შეიძლება წარედგინოს ანგარიში გაუმართაობის დიაგნოსტიკისთვის. (უსაფუძვლო მიმართვად ითვლება გაუმართაობის აღმოფხვრა, რომლის დროსაც არ მოხდა მაკომპლექტებელი ნაწილების შეცვლა ან შეკეთება,

ან და დიაგნოსტირებისას გამოირკვა, რომ გაუმართაობა როგორც ასეთი არ არის, ხოლო მიმართვა იყო არასწორი მიერთების ან ექსპლუატაციის შედეგი).

4. საგარანტიო ვალდებულებები არ ვრცელდება:

4.1. მომსახურება შპს "ბიზნეს ჯგუფი 2010" სპეციალისტების მიერ ხორციელდება მხოლოდ დადგენილი წესის მიხედვით გაფორმებული მოცემული საგარანტიო ტალონის ან შეძენის ფაქტის დამამტკიცებელი დოკუმენტის (სასაქონლო ზედდებული) წარდგენის შემთხვევაში;

4.2. ტექნიკის არასწორი ექსპლუატაციის შემთხვევაში, შეუსაბამობისას ტექნიკის ექსპლუატაციის შესახებ ინსტრუქციასთან, რომელიც მოწოდებისას თან ერთვის თითოეულ ტექნიკას, კერძოდ:

ა) ტექნიკისა და აღჭურვილობის პერიოდული მომსახურების რეგლამენტის დარღვევისას;

ბ) ტექნიკასთან მუშაობისას შესაზეთი მასალებისა და/ან საწვავის გამოყენებისას, რომლებიც არ პასუხობენ ქარხანა მწარმოებლის მოთხოვნებს;

გ) ტექნიკის საექსპლუატაციო ტემპერატურული რეჟიმის დარღვევისას;

დ) ზეთის საკმარისი მოცულობის არ არსებობისას ან მეტობისას ტექნიკის ექსპლუატაციის დროს;

ე) გაცივების სისტემაში სითხეების გამოყენებისას, რომლებიც რეკომენდირებული არ არის ქარხანა დამამზადებლის მიერ;

4.3. ვადების დარღვევით ტექნიკური მომსახურების ჩატარებისას, რომელიც დაკავშირებულია სახარჯი მასალების შეცვლასთან (ზეთები, ფილტრები, ღვედები);

4.4. ტექნიკაზე არსებული ლუქების თვითნებური გახსნისას, შპს "ბიზნეს ჯგუფი 2010" წერილობითი თანხმობის გარეშე;

4.5. ტექნიკის სათადარიგო ნაწილების თვითნებური შეცვლისას, შპს „ბიზნეს ჯგუფი 2010" წერილობითი თანხმობის გარეშე;

4.6. არაორიგინალი ფილტრების, ფილტრის ელემენტების,აგრეთვე სათადარიგო ნაწილების დაყენებისას;

4.7. სწრაფცვეთად ნაწილებზე, როგორიცაა საბურავები, რეზინის ნაკეთობები, დანები, საკისრები, დისკები, დისკის დამცავები, სახნისები, სახნისის წვერები,გუთნის ფრთები, კბილანები, მილყელები, კაბელები და სხვა (აკუმულატორის ჩათვლით);

4.8. დაზიანებაზე,მიყენებულს სხვა დანადგარისადმი, რომელიც შეწყვილებულად მუშაობს მოცემულ ტექნიკასთან;

4.9. გარე და/ან შიგა მექანიკური დაზიანების არსებობის შემთხვევაში(დარტყმის კვალის, ბზარების და სხვა), რომელიც მიღებულია არასწორი ექსპლუატაციის ან ტრანსპორტირების გამო;

4.10. არაუფლებამოსილი პირების მიერ რემონტის ჩატარების ნიშნების არსებობისას;

4.11. დაზიანებების არსებობის შემთხვევაში, რომელიც გამოწვეულია ავარიის შედეგად, ტექნიკაზე ცეცხლის, სინოტივის ან გარეშე სხეულის ზემოქმედებით;

4.12. ელექტრული გარღვევის კვალის, დამწვარი სადენების არსებობისას.

4.13. არ არსებობს გარანტია, რომელიც ვრცელდება ამ დოკუმენტში წარმოდგენილი პროდუქტის აღწერილობის ფარგლებს გარეთ და მიმწოდებელი არც ერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი არაპირდაპირ, ფაქტიურ, თუ ირიბ ზიანზე, არ არსებობს არავითარი გარანტია, აშკარა თუ ნაგულისხმევი, ზემოთ მოცემულის გარდა.

5. საგარანტიო რემონტის შესრულების ვადები შპს "ბიზნეს ჯგუფი 2010" იღებს ვალდებულებას:

5.1. საგარანტიო მომსახურებაზე მყოფი ტექნიკის დაზიანების შესახებ შეტყობინებიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში მიავლინოს უფლებამოსილი და კომპეტენტური წარმომადგენლები საგარანტიო შემთხვევის დადგენისა და გამოკვლევის მიზნით;

5.2. საგარანტიო მომსახურების შემთხვევის დადგომისას, უსასყიდლოდ აღმოფხვრას დაზიანება არაუმეტეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესასრულებელი სამუშაო

განსაკუთრებით დიდი მოცულობისაა და/ან საჭიროა სპეციალური სათადარიგო დეტალის/აღჭურვილობის შეკვეთა და ჩამოტანა. ამ შემთხვევაში შემსყიდველს ეცნობება სავარაუდო ვადის შესახებ).

6. გარანტიისშემდგომი მომსახურება

6.1. შპს "ბიზნეს ჯგუფში 2010" შეძენილი ტექნიკის გარანტიის შემდგომი რემონტი ხორციელდება იმავე პირობებით, ოღონდ ჩატარებული რემონტისა და სატრანსპორტო ხარჯებს იხდის შემსყიდველი

ვადასტურებ, რომ თითოეულ ტექნიკაზე გაცემული იქნება საგარანტიო ტალონი, სადაც მითითებული იქნება გარანტიის მოქმედების ვადა.

მიმწოდებელი:

შ.პ.ს „ბიზნეს ჯგუფი 2010“
საიდენტიფიკაციო კოდი: 208141321
მისამართი: საქართველო, თბილისი, ა. ქართველიშვილის ქ. N7
სს „ბანკი რესპუბლიკა“
ბანკის კოდი: REPLGE22
ა/ა: GEBR0000010012640572

ბიზნეს ჯგუფი 2010 208141321 BUSINESS GROUP 2010

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. თბილისი 10 სექტემბერი 2014 წ.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბიმისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელმოწერით ადასტურებს, რომ შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის“ კოდით CPV ***43200000***) - **4 (ოთხი) ერთეული მუხლუხოებიანი (ჭაობის) ექსკავატორის ЭО-3223 (2014 წ გამოშვება), 2 ერთეული მუხლუხოებინი ექსკავატორებისათვის (ჭაობის) ისრის მკლავის და 2 ერთეული არხის** შესყიდვის მიზნით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემის კომპანიის“ მიერ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 ივლისის N1228 განკარგულების „შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის“ მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ სახსრებით, გამარტივებულ შესყიდვაში განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ვადასტურებთ:

_____	ვაჟა კირტავა
_____	ნინო გერგედავა
_____	მათე მირიანაშვილი
_____	ვაჟა ფშავლიშვილი
_____	ზიტა იმანოვი
_____	შალვა ქაჯაია

ᲙᲝᲞ

საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 1228 2014 წლის 14 ივლისი ქ. თბილისი

შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის“ მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიამ“ „შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიისათვის“ კაპიტალის გაზრდისა და ნაწილობრივი სუბსიდირების მიზნით თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის №258 განკარგულებით გამოყოფილი თანხების ფარგლებში, არა უმეტეს 1 276 550 (მილიონ ორას სამოცდათექვსმეტი ათას ხუთას ორმოცდაათი) ლარის ღირებულების სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკისა და მანქანა-მექანიზმების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი